

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17 2021 წლის 24 დეკემბერი

ქ. ჭიათურა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის აგრეთვე ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი თანდართული სახით

თავი I

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	30255.100	37189.348	25255.981	11933.367	24464.000	24209.000	255.000
გადასახადები	11867.400	13913.300	13913.300	0,00	17041.600	17041.600	0.000
გრანტები	9754.200	11933.367	0.000	11933.367	255.000	0.000	255.000
სხვა შემოსავლები	8633.500	11342.681	11342.681	0.000	7167.400	7167.400	0.000
II. ხარჯები	14454.800	20499.336	19128.778	1370.558	20584.729	20329.729	255.000
შრომის ანაზღაურება	2086.700	2180.820	2086.400	94.420	3528.520	3429.520	99.000
საქონელი და მომსახურება	1230.900	1803.407	1157.676	645.731	1372.089	1351.089	21.000
პროცენტი	49.600	51.100	51.100		51.200	51.200	0.00
სუბსიდიები	8765.700	12777.465	12677.465	100.000	13343.200	13218.200	125.000
გრანტები	79.700	8.500	8.500	0.00	25.000	25.000	0.00
სოციალური უზრუნველყოფა	1977.200	2067.418	2057.418	10.0	1865.000	1855.000	10.000
სხვა ხარჯები	264.900	1610.626	1090.219	520.407	399.720	399.720	0.00
III. საოპერაციო სალდო	15800.300	16690.012	6127.203	10562.809	3879.271	3879.271	0.000
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	16879.000	19593.091	8729.976	10863.115	3802.671	3802.671	0.000
ზრდა	17026.800	19626.091	8762.976	10863.115	3838.671	3838.671	0.000



კლება	147.700	33.000	33.000	0.0	36.000	36.000	0.000
V. მთლიანი სალდო	-1078.700	-2903.079	-2602.773	-300.306	76.600	76.600	0.000
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-1155.500	-2979.679	-2679.373	- 300.306	0.000	0.000	0.000
ზრდა	1180.300	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტები	1180.300	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
კლება	2335.800	2979.700	2679.400	300.300	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტები	2335.800	2979.700	2679.400	300.300	0.000	0.000	0.000
VII. ვალდებულებების ცვლილება	-76.800	-76.600	-76.600	0.000	-76.600	-76.600	0.000
კლება	76.800	76.600	76.600	0.000	76.600	76.600	0.000
საშინაო	76.800	76.600	0.000	0.000	76.600	76.600	0.000
სესხები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0		0.000	0.000	0.000

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	30402.821	37222.348	25288.981	11933.367	24500.000	24245.000	255.000
შემოსავლები	30255.100	37189.348	25255.981	11933.367	24464.000	24209.000	255.000
არაფინანსური აქტივების კლება	147.700	33.000	33.000	0.00	36.000	36.000	0.000
გადასახდელები	31558.315	40202.027	27968.354	12233.673	24500.000	24245.000	255.000
ხარჯები	14454.257	20499.336	19128.778	1370.558	20584.729	20329.729	255.000
არაფინანსური აქტივების ზრდა	17026.774	19626.091	8762.976	10863.115	3838.671	3838.671	0.000
ვალდებულებების კლება	76.784	76.600	76.600	0.00	76.600	76.600	0.000



ნაშთის ცვლილება	-1155.495	-2979.679	-2679.373	-300.306	0,000	0,0 00	0.000
-----------------	-----------	-----------	-----------	----------	-------	--------	-------

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 24464.000 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	30255.100	37189.348	25255.981	11933.367	24464.000	24209.000	255.000
გადასახადები	11867.400	13913.300	13913.300	0.000	17041.600	17041.600	0.000
გრანტები	9754.200	11933.367	0.000	11933.367	255.000	0,000	255.000
სხვა შემოსავლები	8633.500	11342.681	11342.681	0.0	7167.400	7167.400	0.000

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 17041.600 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	11867.400	13913.300	13913.300	0.000	17041.600	17041.600	0.000
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.00	0.00	0.000	0.000	0.000	0.000
დამატებითი ღირებულების გადასახადი	8344.200	10913.300	10913.300	0.000	13641.600	13641.600	0.0
ქონების გადასახადი	3523.200	3000.000	3000.000	0.000	3400.000	3400.000	0.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2356.800	1675.000	1675.000	0.000	2075.000	2075.000	0.000
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.000	0.000	0.000	0.000	0,000	0.000



ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	20.300	10.000	10.000	0.000	10.000	10.000	0.000
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	65.100	65.000	65.00	0.000	65.000	65.000	0.000
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1081.000	1250.000	1250.000	0.000	1250,000	1250,000	0.000

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 255.000 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
გრანტები	9754.200	11933.370	255.000
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.000	0.0	0.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9754.200	11933.370	0,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.00	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1814.500	867.960	255.0
კაპიტალური ტრანსფერი	7939.700	11065.403	0.0
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :	0.0	0.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	0.0
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 7167.400 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	8633.500	11342.680	7167.400
შემოსავლები საკუთრებიდან	6382.300	9192.680	5055.000
პროცენტი	174.200	200.000	30.000



რენტა	6208.000	8992.680	5025.000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2059.400	2050.000	2017.400
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2059.400	2050.000	2017.400
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.000	0.00	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	44.400	35.0	9.400
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2006.00	2000.000	2000.000
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	9.100	15.000	8.000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0,00	0.000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	124.300	100.000	95.000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	67.500	0.000	0.000

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 20584.729 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	14454.800	20499.336	19128.778	1370.558	20584.729	20329.729	255.000
შრომის ანაზღაურება	2086.700	2180.820	2086.400	94.420	3528.520	3429.520	99.000
საქონელი და მომსახურება	1230.900	1803.407	1157.676	645.731	1372.089	1351.089	21.000
პროცენტები	49.600	51.100	51.100	0.0	51.200	51.200	0.000
სუბსიდიები	8765.700	12777.465	12677.465	100.000	13343.200	13218.200	125.000
გრანტები	0.000	0.000	0.000	0.000	25.000	25.000	0.000
სოციალური უზრუნველყოფა	1977.200	2067.418	2057.418	10.0	1865.000	1865.000	0.00
სხვა ხარჯები	264.900	1610.626	1090.219	520.407	399.720	399.720	0.000

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 3838.671 ათასი ლარით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3663.080 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 36.000 ათასი ლარით:

ათას ლარში



პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	45.246	158.433	252.000
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	45.246	158.433	252.000
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14375.893	16720.068	3006.346
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12156.249	13947.969	2857.566
02 02	წყლის სისტემების განვითარება	207.159	36.285	0.000
02 03	გარე განათება	374.179	0.000	0.000
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	307.700	0.000	0.000
02.07	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1330.606	2661.938	148.780
02 08	სასაფლაოების მოვლა შენახვა	0,0	73.876	0.000
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.000
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	92.741	496.817	273.835
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3.650	42.000	0.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	0.0	124.000	170.000
03 04	სანიაღვრე არხის აღდგენა	89.091	330.817	103.835
04 00	განათლება	2414.652	24.365	0.000
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	40.081	0.000	0,000
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1302.623	4.462	0.000
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1071.948	19.903	0.000
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	98.242	2226.408	306.490
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	89.043	1028.648	306.490
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	9.199	1197.760	0.000
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0,0	0,000
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	0,0	0.000
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	17026.774	19626.091	3838.641

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	147.700	33.000	36.0



მირითადი აქტივები	113.900	25.000	29.0
არაწარმოებული აქტივები	33.900	6.000	7.0
მიწა	33.900	6.000	7.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციო ნალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3514.753	3691.239	5425.509
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3082.153	3480.820	4927.139
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3082.153	3480.820	4927.139
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	75.719	300.000
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	127.700	127.800
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	7.000	70.570
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	12744.001	16476.259	5031.266
7.4 5	ტრანსპორტი	12744.001	16476.259	5031.266
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	12744.001	16476.259	5031.266
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.000	0.000	0,000
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0.000	0.000	0.000
7.5	გარემოს დაცვა	1413.883	2329.817	2073.835
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1413.883	2329.817	2073.835
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2947.573	5148.579	1368.400
7.6 1	ბინათმშენებლობა	307.700	1248.980	119.620
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.000	0.000	0,000
7.6 3	წყალმომარაგება	652.113	753.285	640.000
7.6 4	გარე განათება	655.932	410.500	460.000
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1331.828	2735.814	148.780
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	167.078	201.090	185.700



7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	128.186	145.000	157.700
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	38.892	56.090	28.000
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	3393.444	5894.279	4068.290
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1358.692	2465.613	1793.490
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1832.826	1988.500	2064.800
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	133.130	150.000	110.000
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	68.796	1290.166	100.000
7.9	განათლება	5643.871	4399.516	4500.000
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2868.808	3750.000	4500.000
7.9 2	ზოგადი განათლება	1472.440	645.054	0,0
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო და ზოგადი განათლება	1302.623	4.462	0.0
7 10	სოციალური დაცვა	1733.712	2061.248	1847.000
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	899.093	923.208	1038.000
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	729.353	743.208	848.000
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	168.750	180.000	190.000
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	22.500	25.000	26.000
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	508.450	640.540	352.500
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	164.169	242.500	252.500
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	139.500	230.000	178.000
	სულ	31558.315	40202.027	24500.000

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 76.600 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 3879.271 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	15800.300	16690.012	3879.271
მთლიანი სალდო	-1078.700	-2903.079	76.600



მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
 ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 0,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1155.500	-2979.679	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0,0	0.0	0.0
კლება	2335.800	2979.679	0,0
ვალუტა და დეპოზიტი	2335.800	2979.679	0.0

ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 76.600 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

- v. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- v. ინფრასტრუქტურის განვითარება;
- v. დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- v. განათლება;
- vi. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- v. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

ათასი ლარი

2022-2025 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით (საკუთარი შემოსულობებით)

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5425.509	5425.5	5425.5	5425.5
	მ.შ. რიცხოვნობა	199.0	199.0	199.0	199.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6399.666	5716.0	7205.8	8583.0
	მ.შ. რიცხოვნობა	158.0	158.0	158.0	158.0



	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2073.835	2073.8	2075.0	2073.8
	მ.შ. რიცხოვნობა	217	217	217	217
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
04 00	განათლება	4500.0	4500.0	4500.0	4500.0
	მ.შ. რიცხოვნობა	707.0	808.0	808.0	808.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4068.290	4068.0	4068.0	4068.0
	მ.შ. რიცხოვნობა	611.0	611.0	611.0	611.0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2032.7	2032.7	2032.7	2032.7
	მ.შ. რიცხოვნობა	19,0	19,0	19,0	19,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
სულ ჯამი		24500.0	23816.0	25307.0	26683.0
მ.შ. რიცხოვნობა		1911.0	2012.0	2012.0	2012.0
მ.შ. ახალი ინიციატივები					
შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.					

თავი II

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე ფასადების რეაბილიტაცია და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახვ დარგების განვითარებას.



პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;	6399.666	5716.000	7205.800	8583.000
	მ.შ. რიცხოვნობა	158.0	158.0	158.0	100.0

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01			2857.566
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური	
პროგრამის აღწერა		<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება მოვლა პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და თანადაფინანსებას.</p> <p>მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 20% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:</p> <p>- გზების მიმდინარე შეკეთება; - გზების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია;</p> <p>გზების მშენებლობა-კაპიტალური შეკეთება ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია.</p> <p>საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მომანდაკებას.</p>	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		<p>პროგრამის საბოლოო მიზანია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p> <p>პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა</p>	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების მშენებლობა და კაპიტალური შეკეთება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 02			2785.446



<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების პროექტირებასა და დაფინანსებული სამუშაოების შევსებას, მუნიციპალიტეტის მოსაფალტებული გზების 55% აკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს. ამიტომ 2022წლისთვის იგეგმება ისეთი საგზაო სამუშაოები რომელიც დააკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს, გზებს ექნება სანიაღვრე არხები რაც ხელს შეუწყობს წყლის გადინებას და ააცილებს მოსახლეობას ნალექით წამოქმნილი ნიაღვრისგან ეზოების დატბორვას.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p> <p>პროგრამის საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა</p>

N	დასახელება	სულ ღირებულება
	სოფელ ბეგიაურში ფარქოსაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	87394
2.	სოფელ ნიგოზეთში ცონცრების უბანში გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	81720
3.	სოფელ რგანში გველესიანების უბანში გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	69702
4.	სოფელ საკურწეში მამიაშვილები-გოსტიაშვილები-სარალიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	120576
5.	სოფელ უსახელოში მთავარანგელოზის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	72499
6.	სოფელ სვერში ლოჟღეთის უბნის გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	57592
7.	სოფელ ითხვისში კობერიძეები-მახათაძეები-დვალაშვილების გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	48213
8.	სოფელ მელუშეთში დაბლა უბანის გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	53571
9.	სოფელ გუნდაეთში ომარი მაჩაიძის სახლიდან აბრამიშვილებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	107402



10.	სოფელ ვანში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	20817
11.	სოფელ დიდ კაცხში კუპატაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	32681
12.	სოფელ კაცხში ხვადაბუნის უბანში გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	32600
13.	სოფელ სარქველეთუბანში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	96700
14.	სოფელ მღვიმევში მონასტრის თავზე გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	100220
15.	სოფელ კაცხში ხვადაბუნზე ოტიაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	102577
16.	სოფელ ზედა რგანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	28400
17.	სოფელ წყალშავში კანჭების უბანში გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	42400
18.	გურაბანიძეებიდან სოფელ ვაკევისამდე გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	69109
19.	სოფელ ითხვისში 32-ის დასახლების ითხვისის მადაროდან დარბაიძეების ბოლომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	91750
20.	სოფელ მეჩხეთურში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	34750
21.	სოფელ წყალშავში კაკუხას უბანში საუბნო გზის მოწყობა. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	40000
22.	სოფელ ბჟინევში მისასვლელი საუბნო გზის მობეტონება (ხელშეკრულება გაფორმებულია)	130630
23.	სოფელ მორმგვეთში კაპანაძეები ღელის უბნის გზის რეაბილიტაცია	138467
24.	სოფელ სალიეთში რაული მოდებაძის სახლისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	81580
25.	სოფელ უსახელოში ლაშეს უბნიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის მობეტონება	32000
26.	სოფელ თაბაგრებში კენჭოშვილების (მთის უბნის) გზის რეაბილიტაცია	40432
27.	სოფელ ნიგოზეთში კოპიტების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	203393
28.	სოფელ დარკვეთი-ზოდის შემაერთებელი ცენტრალური საავტომობილო გზის მეწყერის ჩამოშლილი მონაკვეთის აღდგენა	53719
29.	საზედამხედველო ხარჯი	300000
30.	თანადაფინანსების ხარჯი	342242



31.	სოფელ უსახელოში მგლების უბანში დაახლოებით 1500 მეტ. გზის საპროექტო სამუშაოები	5000
32.	სოფელ უსახელოში გაღმა პაპიძეების უბანში მისასვლელი 500 მეტ. გზის საპროექტო სამუშაოები	1800
33.	სოფელ სოფელ თაბაგრებში სერის უბანში დაახლოებით 300 გ.მ გზის მობეტონების საპროექტო სამუშაოები	1200
34.	სოფელ თაბაგრებში კენჭოშვილების უბანში 70 გრძ.მ-ზე გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	472
35.	სოფელ თაბაგრებში „ჭიკინების“ უბანში საბაგირო გზასთან 70 გრძ.მ გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	472
36.	სოფელ წყალშავში სამხარაძეების უბანში 400 გრძ. მ.-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	649
37.	ტოლსტოის I ჩიხი 100 გრძ.მ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	472
38.	ჭიათურაში ორი ნომრის დასახლებაში ეკლესიის მოპირდაპირედ სამხარაძეების უბანში 150გრძ.მ გზის საფარის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
39.	სოფელ პერევისაში ალიომა ჩინჩალაძის სახლთან 100გრძ.მ გზის საფარის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	472
40.	სოფელ ბუნიკაურში გელბახიანების აღმართის 110გრძ.მ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	472
41.	სოფელ ბუნიკაურში ზურაბ ბარათაშვილის სახლისკენ მოსაცდელიდან ასასვლელი გზის 100გრძ.მ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	472
42.	სოფელ ითხვისში ღვეთაძეებისა და ნადირაძეების საუბნო გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
43.	სოფელ სკინდორში სკოლასთან ასასვლელი გზის 200 გრძ.მ-ზე საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
44.	სოფელ სკინდორში სასაფლაოსთან ასასვლელი კურტანიძეების უბნის ასასვლელის გაგრძელება 300 გრძ.მ-ზე საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
45.	სოფელ წასრში ვაშაძეების უბანში 150გრძ.მ-ზე საუბნო გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
46.	სოფელ ზოდში მასხარაშვილები ბოჭორიშვილების უბანში 500გრძ.მ-ზე გზის მობეტონების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ.	944



	გაფორმებულია)	
47.	სოფელ თაბაგრებში შესასვლელი ცენტრალური გზის 100 გრმ.მ-ზე საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
48.	სოფელ თაბაგრებში ცენტრალური გზის 400 გრმ.მ-ზე მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	708
49.	სოფელ ზედა რგანში 450 გრმ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	708
50.	სოფელ ზედა რგანში გადმოსახედამდე მისასვლელი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
51.	ძუბუანას მღვიმევამდე მისასვლელი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
52.	სოფელ ჯოყოეთში უკურთხევას უბანში 400 გრმ. მ. გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	708
53.	სოფელ ქვაციხეში ფორჩხიძეების უბანში ფრიდონი ჩუბინიძის სახლთან დაახლოებით 100 გრმ. მ. გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
54.	სოფელ მანდაეთში ციციძეები-გოგოლაძეების უბანში ცენტრალურ გზასთან შემაერთებელი 800 გრმ. მ. გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
55.	სოფელ მანდაეთში ციციძეების უბანში ორ მონაკვეთზე საუბნო გზის დაახლოებით 400 გრ. მტ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	708
56.	სოფელ მანდაეთში თედორიშვილების უბნიდან მჭედლების უბანში მისასვლელი დაახლოებით 500 გ. მეტრი გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	944
57.	სოფელ ნავარძეთში მარკა ბარათაშვილის სახლმუზეუმამდე მისასვლელი გზისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
58.	სოფელ ზედა ბერეთისაში გეორგების უბანში 700გრმ.მ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
59.	სოფელ ქვაციხეში ზედა ჩუბინიძეების 700გრმ.მ-ზე გზის გაგრძელების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
60.	სოფელ რცხილათში მარუაშვილების ჩასახვიდან ხიდამდე 120გრმ.მ-ზე გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო	590



	დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	
61.	სოფელ ქვედა უსახელოში დარჩენილი საუბნო გზების მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1770
62.	სოფელ ბილაში (აბაროული)გოგოლაძეების უბანში 300გრძ.მ-ზე გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
63.	სოფელ ითხვისში ქვედა ბაძგარაძეების უბნის დაახლოებით 300გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
64.	სოფელ ხალიფაურში დავით მასხარაშვილის სახლთან 150გრძ.მ-ზე საუბნო გზის რეაბილიტაციის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
65.	სოფელ ზედუბანი - ჭალისუბანში გზის რეაბილიტაცია ავტობანიდან 1,6კმ-ზე. მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1770
66.	სოფელ მოხოროთუბანში აზნარაშვილების გზის მობეტონების გაგრძელების მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
67.	სოფელ სვერში ტრიბუჩების უბანში 200გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
68.	სოფელ პერევისაში წერეთლების უბნიდან ეკლესიასთან ასახვევი საუბნო გზის 250 გრძ.მ-ზე საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
69.	სოფელ ბჟინევში რაზმაძეების უბანში დაახლოებით 500გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	767
70.	სოფელ პერევისაში წივილაშვილები გოგოლიძეების უბანში 350გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
71.	სოფელ პერევისაში ქვედა დევიძეებში 800გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
72.	სოფელ ზედა ბილაში ბიწაძეების ჩასახვევი 220 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
73.	სოფელ ითხვისში ბიბიაშვილების უბანში საუბნო გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთი 500 გრძ.მ.-საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	944



74.	სოფელ სვერისა და სოფელ მანდაეთის დამაკავშირებელი გზის 4500გრმ.მ. საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	5192
75.	სოფელ რგანისა და სოფელ ვაჭევის გზის (გველესიანების უბნიდან კვერნების უბნამდე) -4900გრმ.მ.- საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	5428
76.	სოფელ ხრეთში აბაშიძე-ლოლაძეების უბანში 400გრმ.მ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	708
77.	ზოდი -წირქვალის შემაერთებელი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
78.	სოფელ სკინდორში ჯავახების უბნის 300გრმ.მ-იანი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
79.	სოფელ სალიეთში ლომინაშვილების უბანში 800გრმ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
80.	სოფელ გუნდაეთში ვაკე-ტყე , ბარათაშვილების, უზნაძეების უბანში ჭაბუკი ბარათაშვილების სახლთან 1კმ-იანი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1298
81.	სოფელ მეჩხეთურში ცენტრალური გზის მოწყობა ეკლესიიდან სოფლის ბოლომდე 2კმ.-მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	2360
82.	სოფელ მეჩხეთურში ცენტრალური გზის მოწყობა კბილარის მიმართულებით მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
83.	სოფელ ტყემლოვანაში კაპანაძეების უბანში 1კმ-ზე გზის რეაბილიტაციის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
84.	სოფელ ტყემლოვანაში ჩინჩალაძეების უბანში 800 გრმ.მ-ზე გზის რეაბილიტაციის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
85.	სოფელ წირქვალში მიროტაძეების უბნიდან აბანოს უბნამდე მისასვლელი გზის 330გრმ.მ-ზე გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
86.	სოფელ თვალუეთში ხელოსნიშვილების უბანში 200გრმ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
87.	სოფელ სვერში ლოყლაეთში 400გრმ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	708



88.	სოფელ სვერში ჯაფარიძეების უბანში 150 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
89.	სოფელ ცხრუკვეთში საბრაგუნო -ჭიკაშვილების უბანში 100 გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	472
90.	სოფელ პერევისაში ჯაოშვილების უბანში 250გრძ.მ-ზე გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
91.	სოფელ ზოდში სხირტლაძეები იობაშვილების საუბნო გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
92.	სოფელ ეწერში სარალიძეების უბანში გზის 600 გრძ.მ-ზე მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1062
93.	სოფელ დარკვეთში კაციტაძეების უბანში 800გრძ.მ გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1180
94.	სოფელ ნავარძეთში ბაჭიკაშვილების უბნის გზის რეაბილიტაციის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	708
95.	სოფელ პერევისაში ცხადაძეების უბანში 300მ-იანი გზის მოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
96.	სოფელ ზოდში ქაშაკაშვილების უბანში 1600-გრძ მ. გზის რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	1888
97.	სოფელ დარკვეთში სკოლასთან მისასვლელი 500-გრძ. მ გზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	944
98.	სოფელ ზედა რგანში ვაშაძეების უბანში 150-გრძ. მ გზის რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშ. გაფორმებულია)	590
	სულ ჯამი	2785446

პროგრამის დასახელება	კოდი	ხიდებისა და მოაჯირების აღდგენა მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 04		0.767
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ -ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული ხიდები და მოაჯირები რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის უსაფრთხოდ გადაადგილება. აღნიშნული პროგრამით განხორციელდება სოფელ ხრეთში ტაბატაძეების ხიდის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშეკრულება გაფორმებულია)		



პროგრამის დასახელება	კოდი	საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 05		37.374
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე არსებული საყრდენი კედლების რეაბილიტაციას (ვინაიდან ქალაქი ჭიათურის ნაწილი წარმოადგენს ტერასულ დასახლებას) და მოწყობას. მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სახსრები ხმარდება როგორც საპროექტო სამუშაოებს აგრეთვე შემდგომ საყრდენი კედლების აღდგენა, მშენებლობას.</p> <p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ სკინდორში ბრეგვაძე ლამარას სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა (ტენდერი არის გამოცხადებული 2021 წელს და სამუშაოები დასრულდება 2022 წელს). აღმაშენებლის N199-ის მიმდებარედ ზაზა გოგსაძის სახლთან საყრდენი კედლის აღდგენის საპროექტო სამუშაოები. ასევე ტენდერი გამოცხადებულია და საპროექტო სამუშაოები განხორციელდება 2022 წლისათვის შემდეგ ობიექტებზე: სოფელ უსახელოში ცენტრალური გზის მიმდებარედ დაზიანებული საყრდენი კედლის, ჭიათურაში აღმაშენებლის ქ.N154 ლულუნიშვილი ზურას სახლთან საყრდენი კედლის, ჭიათურაში 9 აპრილის ქ. N 38-ის მიმდებარედ ზურა მოდებაძის სახლთან საყრდენი კედლის, ჭიათურაში ბელიაშვილის ქ.N 2 თამაზი უკლებას სახლთან საყრდენი კედლის, ინტერნაციონალის ქ#24 შმაგი სამხარაძის სახლთან საყრდენი კედლის, თავისუფლების I შესახვევი N5 -თან ჭიტაძე გედევანის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობისა და სანიაღვრე არხის აღდგენის 40 გრძ.მ-ზე ეზოდან უახლოეს ჭამდე, ერისთავის ქ.#47 ფაშოლი თენგიზის სალის მიმდებარედ საყრდენი კედლის, სოფელ თვალუეთში ნიკა ბიჭაძის სახლთან საყრდენი კედლის, ერისთავის ქ.N5 -თან საყრდენი კედლის, მუხაძის ქ.N10-თან ლევან სამყურაშვილის სახლთან საყრდენი კედლის, ფრანგიშვილის ქN35-თან ვასო ჭიეშვილის სახლთან საყრდენი კედლის, 9 აპრილის ქ#5 მამუკა მადარაძის სახლთან საყრდენი კედლის, სოფელ სალიეთში თენგიზ მოდებაძის სახლთან საყრდენი კედლის, ერისთავის ქ.#11 მიმდებარედ საყრდენი კედლის, სოფელ ნავარძეთში მუხრანი მოდებაძის სახლთან საყრდენი კედლის, გაგარინის ქ. N14 ჩაჩანიძე თენგიზის სახლთან ორ მონაკვეთზე სარდენი კედლის, თბილისის ქ#7-ში მერაბი აჭარაძის სახლთან საყრდენი კედლის, მადარო2-ის დასახლებაში ნოდარ სამხარაძის სახლთან სარდენი კედლის, სოფელ ჭალისუბანში რამაზი ყაველაშვილის სახლთან საყრდენი კედლის, სოფელ ნავარძეთში გულო ფხალაძის სახლთან სარდენი კედლის, სოფელ სალიეთში თომა მოდებაძის სახლთან საყრდენი კედლის 10გრძ.მ-ზე და სოფელ მორძვეთში ცინასი მოდებაძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების მოედნების მოწყობა.	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 06		33.979
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების, კიბეებისა და მოედნების კაპიტალურ შეკეთებას, პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები, რომელიც ხმარდება პროექტირებასა და შემდგომ სამუშაოთა განხორციელებას. აღნიშნული პროგრამით განხორციელდება ქ. ჭიათურაში ნიკოპოლის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები (ტენდერი არის გამოცხადებული 2021 წელს და სამუშაოები დასრულდება 2022 წელს). ასევე ტენდერი გამოცხადებულია და საპროექტო სამუშაოები განხორციელდება 2022 წლისათვის შემდეგ ობიექტებზე: ვაჟა -ფშაველას ქუჩაზე ყოფილი საბაგირო სადგურის (შუალედი სადგური) ტერიტორიის მოწყობისა და კიბეების აღდგენის, აღმაშენებლის ქ.N124 -ის მიმდებარედ კიბეების და ზათუმის ქუჩიდან ჩასასვლელი ბილიკისა და კიბეების მოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03		640.0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.		
	წყალმომარაგების უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის ასევე მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ჭიათურის მუნიციპალიტეტში ქალაქის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაციას და		



მოსახლეობის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა შპს ჭიათურის წყალი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ქსელების მოწყობას და არსებული ქსელების მოვლა პატრონობას.

პროგრამა ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია წლის ნებისმიერ პერიოდში მოსახლეობის წყალმომარაგება. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

1. წყლის სისტემის ექსპლოატაცია, რომელსაც ახორციელებს შპს ჭიათურის წყალმომარაგების კომპანია (რომლის მიზანია სოფლად დაზიანებული წყლის ქსელების დროული შეკეთება-ექსპლუატაცია, წყლის მიწოდების რეგულაცია უბნების მიხედვით, რათა ყველა მოსახლემ ისარგებლოს წყალმომარაგებით.

2. წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია

